

სელის-მწერა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში სო-
ლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, ყორღანოვის სახ-
ლებში № 4.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლი-
ოთეკაში.


განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს
ენებზედ.



«ივერიის» ფასი:

ერთის წლისა, გაგზავნილ ღ გუგზავნ . . . 7 მ. —
ნახევარის წლისა 3 მ. 50.
თითო ნომერი — 15.

თუ საქირება მოითხოვს, რედაქცია გაასწო-
რებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოცხადებულ
წერილებს.



ს ა ნ ო ლ ი ტ ი კ ო და ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო გ ა ს
გამოდის ხუთშაბათობით

მოამკვლ 1879 წლის იანვრიდან გაზეთის „ივერიის“ მკვირად გამოვა ტფილისში მშრნალი

ივერიია

შემდეგის პრეგრამით:

- I. საქართვალოს მათიანე: განხილვა თვე-და-თვე ყოველის გვარის საგნისა, რაც კი შეეხება ჩვენის სა-
სოციალდობრივ მომდინარე ცხოვრებას და მთავრობით წარმოებას.
- II. საპოლიტიკო მიმოსილვა: განხილვა თვე-და-თვე საზოგადო პოლიტიკისა და აგრეთვე უცხო ქვე-
ყების სახელმწიფო და საზოგადობრივის მომდინარე ცხოვრებისა.
- III. რუსეთის მათიანე: დრო გამოშუებით განხილვა ყოველის გვარის შესანიშნავის საგნისა, რაც კი შე-
ეხება აწინდელ რუსეთის სახელმწიფოს წარმოებას და საზოგადობის ცხოვრებას.
- IV. ბელმეტრისტიკა: მოთხრობები, სტენები, ლექსები და სხვა ამ გვარი.
- V. კრიტიკა.
- VI. ბიბლიოგრაფიული ცნობები: მოკლე განხილვა შესახებ ახალ წიგნებისა.
- VII. ტალკა ვარილემი შესახებ ყოველის გვარის მეცნიერებისა და აგრეთვე შესახებ ჩვენისა და უცხო
საზნთა ცხოვრებისა, წარსულისა და აწინდელისა.
- VIII. კორამსკონდენსიები შესახებ ჩვენის ქვეყნისა, რუსეთისა და უცხო ქვეყნისა.

„ივერიია“ გამოვა თვეში ერთხელ.

სელის-მწერა მიიღება: ტფილისში, „ივერიის“ რედაქციაში, სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, № 4.

აგრეთვე გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ქაშუეთის ეკლესიის ქვემოდამ.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи, въ редакцію журнала „ИВЕРІИ.“

„ივერიის“ ფასი — წელიწადში:	ტფილისში მცხოვრებთათვის	11 მან.
	გარეშე მცხოვრებთათვის	12 მან.
	ექსის თვით: ტფილისში მცხოვრებთათვის	5 მ. ღ 50 კ.
	გარეშე მცხოვრებთათვის	6 მ. ღ 50 კ.

გაზეთი „ივერიია“ დეკემბერში აღარ გამოვა. სელის მომწერლებს ამ ნომრების მკვირად დაურიდებთ იანვარ-
ში პირველი წიგნი ყურნალისა. ამის გამო აწინდელ სელის მომწერლებისათვის ყურნალის ფასი 1879წ. იქნება 11
მან. — გარეშე მცხოვრებთათვის და 10 მან. — ტფილისში მცხოვრებისათვის.

F-3051

„ტფილისის გუბერნიის თავად-ზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ გამგებელ კომიტეტისაგან.

1879 წ. იანვარში იხსნება ქ. ტფილისში შკოლა „ტფილისის გუბერნიის თავად-ზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ გაყების მოსამზადებლად საშუალო-სასწავლებლო (გიმნაზიუმის) ტიპის კლასისათვის.

ჯერ-ჯერობით შკოლა გამართულ იქმნება ოთხმკლას. გაყისათვის, რომელთა შორის ოც-და-ათი შიგ შკოლაში იქმნებიან დაბინავებული და ორმკლას-და-ათი მასწავლებელი. შიგ მცხოვრებთა შორის ათი იქმნება უფულოდ, ესე იგი „სასოციალურების“ ხარჯით; თხუთმეტი თავიანთ ხარჯით, რომელთაც უნდა შეიტანონ ოც-ოცი თუმანი წელიწადში; ხუთი იმისთანა ემაწვილი, რომელთაც შეუძლიანთ შეიტანონ ამ ფულის მხოლოდ ნახევარი, ესე იგი ათი თუმანი მომსგლელ შეკიდებთა შორის თხუთმეტი ისწავლის უფასოდ, ესე იგი „სასოციალურების“ ხარჯით, დანარჩენ ოც-და-თხუთმეტმა ემაწვილმა უნდა შეიტანონ თვითონ წელიწადში სამი თუმანი სწავლის ფული. ყველა ეს ფული შეტანილ უნდა იქმნეს ექვს თვეში ერთხელ წინადაგე. შკოლაში მიიღება ყველა წოდების ემაწვილი. „სასოციალურების“ ხარჯით მიღებულ იქმნებიან ამა „სასოციალურების“ წესდების ზირველ მუხლის ძალით ის ემაწვილები, რომელთა მშობლები ანიან სასოციალურების წევრნი და ცხოვრობენ ტფილისის გარედა. შკოლაში მიიღება ემაწვილი შვიდის წლიდან ვიდრე ათ წლამდე, და იმ განყოფილებაში, საგანყოფილებსაც შეეფერება მისი ცოდნა და წოდებანობა.

ანზა ემაწვილების მიღების თაობაზედ უბრალო ქადაგებულ უნდა იქმნეს დაწერილი გამგებელ კომიტეტის სახელობაზედა და მიერეს ან „სასოციალურების“ თავმჯდომარეს დ. ლ. მამაცოვს კუკიაში, საკუთარ სახლებში, ან სეკრეტარს, ნ. დ. ქანანოვს, სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, № 4.

ანზას უნდა მოეყვეს დაბადებისა და ნათლობის მოწმობა მომდგომისაგან.

გისაც დაწერილებით ქსურს საქმის განმარტება შეუძლიან მიმართას ან „სასოციალურების“ თავმჯდომარეს ან სეკრეტარს.

სამიხმელი: I. საქართველოს მატთანე. სიღნაღის არეულობის საქმე. — II. მკვანის დღიური ბათომისკენ (შემდეგი). — III. საზოგადოებრივი მიმოხილვა. — IV. რუსეთი, გულაგ-არტემოვსკის საქმე. — V. რამეთუ ვანი ვან (შემდეგი)

საქართველოს მატთანე

სიღნაღის არეულობის საქმე.

ამ საფუძვლს, როგორც მოგეხსენებათ, გახეთში, სიღნაღის მხარეში, არეულობა მოხდა მილიციონერების გაყვანის თაობაზედა. ამ საქმის გამოსამიებლად და განჩიებისათვის გაგზავნილი იყო ტფილისის სამხედრო სასამართლოს განყოფილება, რომელსაც ამ თვეს 15-ს დაუწყვის საქმის განჩიება. მოგვყავს „აბზორში“ დაბეჭდილი ბრალმდებელი ოქმი, შედგენილი სამხედრო პროკურორის თანაშემწის მიერ.

„მისის დამლევს 1878 წ. სიღნაღის მხარის სოფლებში — შუმო და ქვემო მანხანაში, ანაგში, ვაკიშში, კანდანახში, ბოდბისხევიში, მანხანაში, საკაბოში და სხვ. გლეხებს ხარკ-კამეჩი გამაყვანინეს ჯარის საჭიროებისათვის, და 5-ს თიბათვეს ამავე სოფლებში წილის ფრა უნდა მომხდარიყო მილიციონერების გამოსყვანად წინადაგე მომზადებულ სიით, რომელიც ებარა მხარის სამმართველოს.

4-ს თიბათვეს (კვირას) დღით, მივიდა სიღნაღის შუმო-მანხანაელი გლეხი და გამოუცხადა მხარის უფროსს, რომ ამ სოფლის მცხოვრებლები გარს მოეხევივნენ მამასახლისის დავით ბოსტოლანაშვილსა და მოსთხოვეს მას გამოწვეულთა სია. მამასახლისმა მისცა შავი სიისა, მაგრამ ხალხი თხოულობდა თორადა დაწერილს. როდესაც მამასახლისმა უთხრა რომ თეთრი სიისა მხარის სამმართველოში ანისა, მამის დაიწყო ხალხმა ყვირილი: „კეჩით არ აგანჩივინებთ მილიციონერებს“ და ცემიც დაუწყო მამასახლისს. ამ საქმის გამოსამიებლად და გლეხების შეგონებისთვის მხარის უფროსმა ქალაქის პრინციპის თანაშემწე პრეზიდენტი ჯანიევი გაგზავნა. უმეტესმა ნაწილმა შუმო-მანხანის საზოგადოებისამ შეისმინა ჯანიევის დანიგება, მაგრამ ზოგნი ვი მინც იმისაც შეგვირდნენ: „არ მოგცემთ მილიციონერებს სალდათებს-

თაჲ. ჯანივემა უბანა მშინ ასაუღს სოლომონ ბეკაშვილს დაეჭინა ერთი იმათგანი, რომელიც ყველაზე მომეტებული ყვინოდა, მაგრამ ხალხი მივარდა ასაუღს, წაქცია, სცემა და წაართვა დაჭერილი კაცი. შემდეგ მანც სთხოვეს ზღაპრობრივს ჯანივს გვაზატეო და დღესე ამ საქმისათვის დეპუტაციას ვაახლებოთა მისრის უფროსს. მაგრამ დეპუტაცია კი არ მისულა. იმავე დღეს საღამოთი მისრის უფროსთან ბოდბისხევის მამასახლისი გიორგი მჭედლიშვილი მივიდა და გამოუცხადა, რომ საკობოდამ 40 კაცი მოვიდა ბოდბისხევისა და მოითხოვა, რომ ბოდბისხეველებსაც უარი ეთქვათა მილიციონერების წილით გამოყვანასედა და ამისათვის შეედილიყვნენა მერვე დღის ანაგის ხეობაში. მისრის სამმართველოში რომელიც ეს ამბავი გადმავსვიტეს გადაეფათ სხვა დროისთვის ამ ადგილას წილის-ყრას და ეცნობებინათ ჯანის უფროსისათვის, ღენკალ-ობეულიანისათვის რაო გამოეკვანა მას ასი დანადღებული ყაზახი, რომელითა შეიწეობით აგები უფრო მოხერხებულიყო მილიციონერების გამოყვანა. ამ თხოვნის მოსახსენებლად, გრაფტიზენგაუსენმა განიზრახა სოფ. ბაკურცისეს წასვლა (10 ვერსზე სიღნაღად) სადაც იყოფებოდა იმ დროს თ. ობეულიანი სტუმრად თ. რევაზ ვახნაძის სახლში. მაგრამ, უწინარეს ტიზენგაუსენმა გაგვანა ჩაფარი გიორგი მათე-შვილი სოფ. ანაგს, ვაკის და კარდანახს მათ განიზრახვის შესატყობად. დაბრუნებისათვისავე სიღნაღს დილით ადრე ობეულიანს, ჩაფარმა მოახსენა რომ ანაგში ხალხი მშვიდად ანისო, მილიციონერების გამოყვანასედა არავითარ წინააღმდეგობას არ აბრებსო და მხოლოდ ქსურს ითხოვსო, რომ წილის ყრას არ იყოსო. შემდეგ ამისა ტიზენგაუსენმა გასწია სოფ. ბაკურცისეს; თან ახლდნენ ლევან ანდრონიკაშვილი და ჩაფარი ბასილა ბოსტოგონაშვილი. ანაგის ხეობაში დაუხვდნათ მათ ანაგელი, ვაკიელი, მამარული და საკობელი მცხოვრებლები სუთას კაცმდე, განს შემოეხვივნენ, — სოკმა თავიც დაუკრა, — და გამოუცხადეს, რომ სალდათებს წილის ყრით არ მოგცემოთ და თუ ხელმწიფე ბძანებს ყველანი გამოვადოთ სამშობლოს დასაცველადო.

გრათ ტიზენგაუსენმა დაუწყო მათ ლაზარია — სალდათებთ არავინ არ გიყვანთო, თქვენ გიწეკოთ მხოლოდ იმავე დროებებში, სადაც ბერს თქვენგანს და თქვენ მამებს უმსახურნათო, და წილის ყრას თქვენისავე სატებლობისათვის არის დადგენილიო, რომ მამასახლისების ბოროტ-მოქმედობას ასდეთო. რა გაიკონეს ეს, ხალხი თითქო დამშვიდა. სოკმა ქუდიც მოიხადა და „ურას“ იმხოდა. მაგრამ სოკმა დედაცანმა დაივირა: „არ შეიძლება, არ მოგცემთ სალდათებსაო!“ და ხალხიც ისევე აღელვდა. ერთი ვაკიელი გლეხი გეგენს სვიმონაშვილი, როგორც თ. ლევან ანდრონიკაშვილი, ჩაფარი ბოსტოგონაშვილი და ანაგის მამასახლისი სოკანა მჭედლიშვილი ამოწებენ, ყველაზედ უმეტესად აკუთვანებდა ხალხს და ისე გაბედათ უახლოვდებოდა მათ. უფროსს, რომ მამასახლისი სვიმონაშვილს უკან აყენებდა — ტიზენგაუსენს არა სცემოსო. მაგრამ სვიმონაშვილი და ხალხი მივარდნენ მამასახლისის მჭედლიშვილს და დაუწვეს წემა. ტიზენგაუსენმა რა დანახა, რომ ვერას უშეუღიდა და ხალხის ყურადღება მიქცეული იყო ამ აყალ-მყალისაკენ, ჩაჯდა ზოგოვკაში და გასწია. ხალხმა დანახა თუ არა ეს, დაუდგნა ჯოხებით ზოგოვკას და ქვების სროლა დაუწყო. გრათ ტიზენგაუსენმა გაუსწრო და მივიდა სოფელს ბაკურცისეს ზინდაზინ თ. რევაზ ვახნაძეს სახლში. წინა დღეს, ესე იგი 4-ს თიბათვეს, ბაკურცისეში დღესასწაული ყოფილიყო და ამის გამო ვახნაძეს სტუმრად სწვეოდნენ, ობეულიანის გადდა, შემდეგინა: ზოლოგონიკი კოლაკურცი, ინჟინერი ლუკსინცი, მომრიგებელ-მსამართლის თანაშემწეა ხოსროვი და დნაკომირეცი, ტფილისის ოქქის სასამართლოს ზოლოგონის თანაშემწე გუდამ ლეკოკიჩი და თ. ობეულიანის ადიუტანტი კურჩილა. ამ სტუმრებთა შორის სოკნი, — თ. ობეულიანი და სხვანიც, არც კი ამდგარიყვნენ ლოგინიდან, როცა ტიზენგაუსენი მივიდა. მანამ ტიზენგაუსენი ყველაფერს უამბობდა, თ. ობეულიანის სახლს მოადგა თითქმის ათასი კაცი, და შემდეგ ხალხმა უფრო იმატა. ღენკალმა ობეულიანმა შეადგინა ტელეგრამმა, რომლითაც იბარებდა ასს ყაზახს თაკის ჯანის სადგომიდან, და მისცა ვახნაძის მხარეულს ლეონტი კადანკეს სიღნაღს წასვლებად; მაგრამ ხალხმა ხელიდამ წაართვა კადანკეს ტელეგრამმა და სუფ-

ნაკუწად აქცია. თან და თან მოუახლოვდა ვანისძის სახლს ხალხი და განს შემოეხვია. ზოგს კომბლები და ჯოხები ქქოლად ხელში, ზოგსაც ხანჯლები. ხალხთან მოსალაშაწაკებულად თ. რევას ვანისძე, თ. აფხაზი და მოძრიგებულ მოსამართლის თანაშემწე ხოსროვენი გამოვიდნენ და აწაკებდნენ დაიშალენითო. მაგრამ, როგორც ხოსროვენი, ადგილობრივი ენის მცოდნე, ამოწმებს, ხალხი ყვიროდა თურმე „მოგვეცით ნახალხი (მასრისა), — ჯანივენი, თომეშვილი, იასესვილი (თავ. ზაქარია ანდრონიკაშვილი მასრის მარშალი) — ვითამ ჩვენ აწ ვიცით, რომ კამისიაში ეს პირები არიან დანიშნულნი; ჩვენ გვევლეყენ, გვცნაწვენ ისინი, მოგვეცით სიები, წილის ყრით აწ მოგვეცით მილიციონერებს“. მერე თვითონ თ. დენერალ მაიორი ორბელიანი გამოვიდა ხალხთან. მაგრამ ხალხი, ხოსროვენის სიტყვით, გაიძახა: „ჩვენ დიდის კმაყოფილებით ვემსახურებით ხელმწიფეს, ყველგან წავალთ, სადაც წავიყვანენ, მაგრამ წილის ყრით კი მილიციონერების არჩევანს ვეინდობ, ჩვენ ვემსახურებით, როგორც ჩვენი მამა ზაშები ვემსახურებოდნენო“. დედ-კაცები ხელში იყვანდნენ თავიანთი ზატანა სამი-ათის წლის ვაჟებს და იძახდნენ: „ესენიერ კი არიან ჩაწერილნი, მაგრამ აბა რა სალდათები იქნებიანო“. თავ. ორბელიანმა გამოუცხადა ხალხს რომ ამ გვარი არჩევანი ხელმწიფისა და დიდის მთავრის ნება არისო და თუ აწ მოგწონთ არსა წარმოადგინეთო და მე მის უმაღლესობას მოკახსენებო. როგორც თ. იასეს რევასის-მე ვანისძე ამოწმებს, ხალხი დამშვიდდა, თითქო კმაყოფილი დარჩა ამ შესუსისა და კიდევ სთქვა ვიღაცამ, „კარგი, წავიდეთო“. მაგრამ დედ-კაცებმა დასძახეს: „აწ შეიძლება, აწ შეიძლება“, მიუბრუნდნენ ხალხს და აყვიდნენ: „თქვენ რა კაცები ხართო, მოიხადეთ თქვენი ქუდები და მოგვეცით ჩვენ დედ-კაცებსაო“ ამ სიტყვებით ადღეგებულმა ხალხმა ცემა დაუწყო მათ, ვინც წასვლას ურჩევდა და შექცვა ორბელიანს სახლში ყვირილით: „მოგვეცით ნახალხი, ჯანივენი, იასესვილი, მოგვეცით ჩვენი სიები“, და ამ პირების ძეხვს მოქვედნენ. ამასთანავე, დროა მარტვილის სიტყვით, სამი თუ ოთხი დედ-კაცი შეცვიდნენ თურმე კომბლებით, დაუწვიან ცხარი ღაშაწაკი, და ტანისამოსსაც იგლეჯდნენ თურმე. ამავ

დროს გარდაცემ ქვებს ისროდნენ ფანჯრებში, ბოლოს ერთი დედ-კაცის ნიშნით შემოვიდა ხალხი ამ ოთახში, სადა გრავ ტრუსენგაუსენი იმყოფებოდა და მოითხოვა სიები. იმან რომ უზახუსა — სიები აქ არა მარტო, დაუწევს ცემა; მოხდა იმთავ ვინც ექიმებოდა გრავს, მაგალითობ თ. ანდრონიკაშვილის პერეოდნიკს, ჩაფარს ბოსტოკონაშვილს, თ. სასო ვანისძეს და ორბელიანის მსახურს მიროშნიკოვს. ბოლოს როგორც იყო ხალხი დამშვიდდა.

გრავ ტრუსენგაუსენმა გამოუცხადა, რომ თუ დამშვიდდებითო თქვენის ხელით ქაღალდს გაგვსაზნო სიღნაღს ჩემ თანაშემწესთანაო და ნამდვილ სიებს მიიღებთო. ხალხი დამშვიდდა, გრავ ტრუსენგაუსენს საწერელი და ქაღალდი მისცეს. წერა რომ დაიწყო, მისცვიდნენ, გამოგლიჯეს ხელიდამ ქაღალდი — ეს კი აწ გვინდა სიები მოგვეცითო. აქვე თ. ორბელიანის ზოტოფელს დაუწევს შინჯა და რა ვერაფერი ნახეს, ახლად დაუწევს ცემა ტრუსენგაუსენს, ბალკონზე გაათრიეს, მერე გარედ ხალხში ჩაიყვანეს და კიდევაც სცემეს. შემდეგ ფეხზე აყენეს და ხელმეორედ დაუწევს სიების თხოვნა. გრავს უთხრა სიღნაღს წამოგვევითო და იქ მოგვეცით სიებსაო. ხალხი დათანხმდა. ჩასვეს ტრუსენგაუსენი ზოგოვსაში და ბევრიც გაწევა მას სიღნაღისაკენ; დანარჩენნი დარჩნენ რევას ვანისძის სახლში; ბევრი ეძებეს იასესვილი, მაგრამ ვერ იპოვეს. ერთი მათგანი წამოუდგა წინ დენერალს თ. ორბელიანს, დასძახა: „აი ეს არის ჩვენი დამღუპველი“ და დაჭრა ჯოხი. იმის მიბაძვით სხვებმაც დაუწევს ცემა თ. ორბელიანს, გამოიყვანეს გარედ ცემით. მერე ვიღაცეა ხანჯალი ამოიღო და გააშორა ხალხი, ბოლოს მოქვიდეს ხელი თ. ორბელიანს და საწოლზე დასვეს. ერთი დედ-კაცი მისდგომია მას და უთქვამს: „შენ დიდ ჯამაგირს იღებ და დოინჯ შემოყრთი დასუარნობო, ჩვენ კი ოფელში გაწურულნი ვმუშაობთო“. მერე დედ-კაცს უთქვამს: „ძროხა რა დამკვრავა, შენთან მოკედი საჩივლედაო, შენ კი მითხარი — გეჩემი საქმე არ არისო, აი ეს ღა ახლად მოგდის“ ამ ღაშაწაკის დროს იპოვეს ტანტ ქვეშ დამალული ზოგოვრორის თანა შემწე გუდიმ ლეგოვიჩი, გამოათრიეს და სცემეს კიდევ. სცემეს აგრეთვე კურილდოს, ლევიან ანდრონიკაშვილს, ჩაფარს ბასიკო

ბოსტოგონაშვილს, სალდაოს მაროშნიკოვს და სხვ. ზოლკოვნიკი კალაგუცკი, ზოდოლკოვნიკი ლუკინიკი, თ. რევას განხადე, ილია აფხაზი და სხვანი ასტანენ ცემოს, რადგანც დაიძაღნენ ამ დროს რადგანც ტი-
 ზენგაუსენი სიღნაღს წავიდა. მომხიბვებელ-მოსამართ-
 ლეს თანაშემწე დრაგომირიკი შეკრის დედა-კაცებში, რომელთაც დაიწვეს იგი ხალხის თაღდაცემისაგან, მის გამოც აჩუქა მან ერთ დედა-კაცს ვერცხლის საათი. ხოსროვეიც, მისივე სიტყვით, ბევრჯელ გამოსულს ხალხის დასაწინაბებლად და კინაღამ ხანჯალიც არ მოხვედრია ერთის კაცისაგან. ხოსროვეიც, მისივე სიტყვით, ამასობაში ყველასაგან ქსიმენია შეძგეო:
 „აი ეს თხუთმეტი წელიწადია ისეთი მოსაგალი არ გვინახავს, როგორც წრეულ; ჩვენ (ე. ი. ღარბებს) არა გვჭირდა შეძლება ქრთამები გვეძლია ზოლკოვისა და სოფლის მოხელეთათვის და ამიტომ ურძობა და ხარ-კამბეჩი წავგართვეს, ხელა კიდევ ჯანში გვგზავ-
 ნიან; მდიდრები კი, რომლებმაც ქრთამი მისცეს გან-
 თასისუფელს ბეგანისაგანც და არც სიაში არიან ჩა-
 წერილნი; ახა ეს არის სამართალი?“. გარდა ამისა ყვიროდა თურმე ხალხი: „ჯერ დაგვანდალო, მოსაგა-
 ლი შინ შემოვიტანოთ, რომ ხარჯი გადაიხადოთ, და მერე ახაიკ თუ ხარ-კამბეჩს გამოვიყვანოთ არამედ ქუდსედა კაცი გამოვალთ ხელმწიფისა და სამშობ-
 ლის დასაგველადო“. რადგანც ხოსროვეიც უთხრა, რომ ამ არეულობისათვის მძიმედ გადახდებოთ, იმით უხვსუხეს: „ჩვენ გავცემთ ზესუსს; თავები ჩვენა გვაქვს და დანა უხვრია ხელმწიფეს, აქვე მოვვიჭრის თავები ოღონდ კი ნუ დავინახავთ ჩვენის ნამუშევარის დაღუ-
 ზვას; ჩვენ იმედი გვქონდა ვაღის გადახდისა“. ხოს-
 როვეიც დაინახა, რომ გერათრით ვერ დაიფიქრებინს ხალხს, შევიდა ისევ სახლში, მაგრამ რა დაინახა ორ-
 ბელიანს სცემდნენ, გაიხარა ტყეში; ვიღაც დასდევნი-
 ბია და უთქვამს მისთვის: „ბატონო, წაბძნდი აქედამ, შენგან არა გვინდა რაო“ და გააცილა უშიშარ ადგი-
 ლას და ეუბნებოდა რომ მისთვის უფროსი მოვალე-
 თა, ასე შეიღვინა უხირობით მოკვლასა და თან დაუ-
 მატა: „უნდა გავაგებინოთ რომ ჩვენც ადამიანები ვართ და ასე არ უნდა გვცანცვანო“.

იმევე დროს, როცა გრათ ტიზენგაუსენს სცემ-
 დნენ, თ. განხადის სახლი აუკლიათ, დაუმტკრებიათ და

დაუღეწიათ რაც კი მოუხელებიათ. თ. რევას განხა-
 ძეს სიტყვით, მრავალი იარაღი ჩამოუხსნიათ კედლი-
 დამ და გაუტანიათ, აგრეთვე ორასზე მეტი ვერცხლის
 კოვსები, ტანისამოსი და სხვ. გამომძიებელს მართ-
 ლად ფანჯრის მინები დაღეწილი დახვდა, აგრეთვე გა-
 მომტკრეული სვივრები და შვანები. ეს არეულობა და
 თ. რევას განხადის სახლის აკლებს, როგორც ხოს-
 როვეი ამოწმებს, გათავდა შუადღის 12¹/₄ საათზე და
 სალხი დაიშალა.

გარდა ამისა ბაკურცხეს, მამასახლისის გიორგი
 სამედაშვილის სახლიც აუკლიათ, თვით სახლში ორი
 სვივრი გაუტყვნიათ და ნივთები წაუღიათ. ანავის მა-
 მასახლისის სოსანა მჭედლიშვილის სახლისათვისაც ამ
 გვანდევ ეოფა დაუწევიათ და, თვით მჭედლიშვილის
 სიტყვით, რაც კი რამ გასატანი ეოფილა ყველაფერი
 წაუღიათ. ანავსევე სხდრო ჭრელაშვილის დუქანს
 დასცემიან და ზოგი ნივთი წაუხდენიათ, ჭრელაშვი-
 ლის სიტყვით, და ზოგიც თან წაუღიათ. ეს ეოფა
 იმიტომ დამაწიესო, ამბობს ჭრელაშვილი, რომ მამა-
 სახლისის თხოვნით მილიციაში გამოწვეულთა საიებს
 გწევდით. აიკვლეს აგრეთვე სახლი ვაკარის მამასახლი-
 სის სოსე ათაბეგოვისა და სეკობის მამასახლისის
 დიმიტრი ფხოველაშვილისა. ამ უკანასკნელის სიტყვით
 წაუთმევიათ მისთვის იარაღი, ქაღის მშითვეი და
 450 მ. ფული. ვაკარს მღვდლის დავით ხელავეის და
 მასწავლებელ დიმიტრი ნანობოვის სახლ-კარც აუკ-
 ლიათ. ხელავეის სიტყვით, მის სახლში შეცვივნილან,
 უცემიათ, წაუთმევიათ ვერცხლის კოვსები, საფუ-
 რები, ბეჭდები, და სხვა ბევრი ნივთები, ფულიც
 225 მანკით. ნანობოვის სიტყვით, მის სახლს სცემიან
 ხელავეის სახლის აკლების შემდეგ, რადგანც ხელავეი
 ეუბნებოდაო ხალხს, რომ კამეჩაღის აღწერა მე
 კი არ შემიდგენიაო, ნანობოვის მამამ (ე. ი. მღვდელმა
 ნანობოვმა) დაწერაო. ბევრი უძებნიათ მღვდელი
 ნანობოვი, მაგრამ ის წინადავე ეოფილა და-
 მალული.

(შემდეგი იქმნება)

მგზავრის დღიური ბათუმისათვის.

II

ფ რ თ ი

ქალაქი ფოთი, რომელიც ახლა მდებარებს რიონის მარცხენა ნაპირას, ცნობილია ისტორიაში როგორც სავაჭრო სადგური ინდოეთ-ევროპის აკუბ-მაცემობისა. როგორც ისტორია გვაუწყებს მარტო ეს სადგური აძლევდა კარგ შემოსავალს საქართველოს სახელმწიფო ხაზინას, თუ არ ვცდები 100,000 სესტრაციამდე. რამდენიმე ხანს იგი იყო რომაელთა ახალშენი *). შემდეგ საქართველოს სამთავრობათ დაფოფისა იგი შეხვდა გურიელს, როგორც გურიის ნაწილი. წინა უკანასკნელ დროს იგი დაიპყრეს ოსმალებმა, რომელთაც აქ ააშენეს ციხე და დააყენეს შიგ მუცხინოვსკი (ტარნიზონი) 1810 წ. დ. ზ. ორბელიანი მეგრულ-იმერლების სპით და მცირე რუსის მხედრობით იერიშით აიღო ის, ქართველი შემატანე ნიკ. დადიანის პირდაპირი მონაწილეობით. 1836 წ. ლევან დადიანმა (შთავარი) დათანხმდა რუსეთის მთავრობის წინა დადგობაზე ფოთი სასავაჭრო ქალაქათ გარდაქმნისათ, და დაუთმო სათანადო ადგილი რიონის მარჯვენა და, რადან უცნაური საუთით, მარცხენა ნაპირსაც, ე. ი. გურიელის სამთავროში. გურიელებმა თვით ისურვეს რომ ის მიწა, რაც საკუთრივ ქალაქისთვის საჭირო იყო, დარჩენილ მას, მაგრამ დანარჩენებზე კი დაგა დაიწეს, რომელიც დღესაც არ გათავებულა. ისტორიული სიმართლე გურიელებისკენაა.

ეს ხანდელის ფოთის სივრცის სხე წარმოადგენსთ გაშლილ მარაოს, მისი სწორი და ფართო ქუჩებით, რომელთ იქით-იქით ჩამწვრილებულია თითო და სოფან ორი სათოულანის ხის და მცირეოდენი ანგურის სახლები. კარგი ქვით-ვირის სახლები, რომელნიც გეგმებით ან და სივრცით შესამჩნევი იყოს ფოთში თითებზე ჩამოსათოულეფია, ისე კი თითქმის ეველა დასათანისა.

უკანასკნელ ამიანობას ერთობ და ერთობ დაუშინებია ფოთელები, ასე რომ მაშინდელი თავის-ზარდაცემულნი სხვაგან გადახიზნულან და დღესაც არ დაბრუნებულან თავისთ სახლებში. ამიტომაც სახლები დღემდის თითქმის სანასკროდ ცარიელები და მათი აგლეჯილი კარების,

*) კოლონიად მივიჩნის და გამევირებია რად ხმარობენ ჩვენი ვაჯბაჯონები უკანასკნელ სიტყვას, როდესაც საკუთარი სიტყვა გვაქვს მნიშვნელობის სწორე გამოხატველი!

დამსხვერულის ფანჯრების, ჩამოტყვერულის კედლის და ქალაქის სიკვრანეს შემხედვარეს უნებლიეთ აფიქრებინებს ეს სურათი თუ რა დაქმნათობდა ბედარულ ფოთს გობარტ - ფაშას რომ გუფს - მოდგინეთ და შესიების უუმბარები და ომი რამოდენიმე ხანს კიდევ გატრძელე ბუღეფა?

ქალაქის წრეში ჩრდილოეთ-დასავლეთით რიონის კუნძულზე აკებულია კანდელი (მანკი), რომლის დანიშნულება ჭკუის ახლო მამინ უზრო იქნება, როდესაც ფოთის სასავაჭროს გააკეთებენ, ესე იგი რადინების კვირამი... ამ კანდელის აღმოსავლეთ-სამხრეთით, რიონის მარცხენა ნაპირას არის ოსმალებისგან აშენებული ჰატარა ციხე (ესდს კომპათ ქცეული) რომლიდანაც დირსებით გავიდა თავის მუცხინოვსკით 1810 წ. სამი თვის გმირულის წინააღმდეგობის შემდეგ დ. ზ. ორბელიანი, წინაშე ბათომელი ბეგი ქუჩუ-შარვაშიძე. —

აქ მოსვლის მეორე დღეს 11 საათზე დილისას ვიჯობ ჰატარა გემზე „რიონსე“ რომელსაც უნდა მივეყვანეთ ფოთის გაშლილ და ერთობ ცუდს სასავაჭროში მტდელ გემთან „მიხეილი“ და მას კი ბათომში უნდა ჩამეყვანეთ... შესამეჯობ ზარის დაკვრის შემდეგ „რიონმა“ კვილით და თათქანით დაიძრა მდ. რიონიდან, უკან დასტოვა კუნძული და კანდელი, განვლო ის შერეული ალაგი სადაც მდინარის და ზღვის მუქი — ლურჯის ფერი ტალღები ერთი მეორეს ბრძოლით ერთვის და უნებლიეთ ითვისებენ ერთმანეთს... მკაცრურო ზღვაში... ტაროსი მშენიერი იყო, ამიტომაც იგი დიდებულ და მშვენიერ სურათს წარმოადგენდა... ზღვა მის მუქი-ლურჯის ფერ პირისა ოდნავ ბიბინებით და დელოა *) დინჯ-მომდინარეობათ დასავლეთით, დასავლეთ-სამხრეთით და ჩრდილოეთით თვალ-გაუწვდენელია: მანდეთკენ ხმელეთს ვერ ხედავთ; აღმოსავლეთით და აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით უაქერთ სამოთხის მკზავის კებერთელა წაღვოტს, საქართველოს, რომლის მკზავისი სხვა სად არის

..... რომელი კუთხე ქვეყნისა ?
ერი გულადი, პურადი, მებრძოლე შავის ბედისა;
შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამანტისა.
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე სამშობლოსა...

ამ რიგ მდგომარეობით მისცურავდა სამხრეთით ჩვეუნი გემი, რომელიც სავსე იყო სხვა და სხვა ჯურის გა-

*) ზღვის დელო, მდინარე ანუ მომდინარეობა.

ცხობთა ბათუმშივე მიმავალნი. სოციალიზმი მიდიოდა სავსე-
როდ, სოციალიზმი მამულის სკიდედად და უმრავლესობა კი...
სამსახურში შესასვლელად. ეგელო ეს გაყვანები ბათუმ-
ში ელდონენ გაგებებს, ბათუმი მავთი სხვით არის
ქრდო სავსე საქმის ხეივანის მეტი არა უნდა რა და სდაც
მდინარეები რძის და თაფლისანია...

— იჰ, ერთის ვწერდის კაი ჯამაგირიანს ადგილს
ვიშოვნოდე კაი კი იქნება, მითხრა ერთმა მათგანმა, რა-
მელიც თურმე წინად სოფლის მასწავლებლად ყოფი-
ლიყო.

— რად მიატოვეთ სოფლის მასწავლებლობა, ამისთანა
დიდად-პატივისცემა და სარგებლის მომტანი ადგილი?
კვითხე მას.

— ეჰ, რას მეუბნებით ერთი თქვენც! სადაური პატივი-
საცემი, სადაური სარგებლიანი!! მასწავლის უფროსს და მისს
მოხელეებს ფეხ-ქვეშ უნდა ვხვდებოდით, რომ ხეივანზე ბლე-
ხების სახივარი არ მიეღო... მართალია მასწავლის უფროსი
ამათ უურადღებდას არ აძლევდა, მაგრამ... მაინც რა გამო-
ვიდა? იმ ჯამაგირით კაცი მის დღეში ვერ გამოვიდოდე-
ბა... ხეივან-სურვილი ის იყო, რაგორმე მასწავლებლ-
ბიდან თავი დამეხსნა და უკეთესი ადგილი მეშოვნა...
ამიანობა რაგორც დაიწყო მასწავლებელის შუამდგომლობით
აგება აფიცრობა ვიშოვნო-მეთქი, მან ურადნიერების და
ჯვარის მეტი იმ დასაქმებულს ვერ ვიშოვნო რა!... ახლა
ბათუმში ეგება ვიშოვნო კაი ფულიანი ვწერდის ადგი-
ლი..., საქმე ფულია, ფული! ფული მომე და შენი პატივის-
ცემა შენ გქონდეს...

მე რომ მივსული რაც გაყვანები ყოფილიყო იგი,
თავი ვერ მოვიკავებ და სუდ ცხვირ წინ დავაყარე სიცილი.
მას შეტყობა, ადგა და წავიდა. მეც გავიარ-გამოვიარე
ერთის ვაი-გავლანით, რადგანც გეში სავსე იყო მოგზაურ-
ნით, და შეიღებ გადავეყრდნე ბრიკელებს ვიღაც რუსის
აფიცრის გვერდით, რომელიც დადიდინებდა ტურების
მტკბარეობით მოწინავე ჯარის იერიშზე მისასვლელ ნი-
შანის ბოლოს „...სნამი ბოგ სნამი ვოდა პოლუშტოფი!“
მე დასავლეთისკენ ვიშინებოდი და ის აღმოსავლეთისკენ,
მასმასდამე ხეივანი თვალის ჩინის მიხანი წინააღმდეგნი
იყვნენ....

უგე კაი მანძილი გავტოვეთ, ასე რომ უკან დავტო-
ვეთ გურინის შუაში მყოფი ნიგოეთის ქედი, რომელიც
აჭარა-გურინის ქედიდამ გამოდის, გადაწოლილია ჯერ

ხრდილოეთით და ჰყოფს იმერეთს და გურინას, მეტე
რინის დაუსვლადება, დასავლეთით მოუხვევს და თავდას
ზღვის შირსე ისე ახლავს, რომ გემით მიმავალი ძრეულ
გარდა დაინახავს...

აგრე, მოკმარდით გურინას და დაიწყო დიდი სნი-
დამ მოშორებული და ახლად შემოერთებული სამცხე,
კლანჯეთი ანუ მოსხეთი, (რომელიც გნებავთ ამ სმ ს-
ხელები დამ ის ამოიჩინეთ სულ ერთი)...
უცბა მომესმა იმ აფიცრის კბილების კრახა-კრუტი
და ბუტბუტი....

— რა დაგეძმართათ, რა ამბავია, გაოცებით კვი-
თხე მე.

— ჰმ... წყეული... წყეული ადგილი... ქაჯების
ბუდე... კბილების კრახუნით ამბობდა იგი. ხეივანი ვითხვა
არც გაუგონია.

— ერთი თქვენს ღმერთს მიამაღლე, გამაგებინეთ
რა ამბავია, გახალისებული ცნობის მოყვარეობით ვეუბნე-
ბოდით მას.

— შესეთ, შესეთ.... აი ეგერ ცინის-ძირი! ის წყე-
ული და მოჯადული ადგილი! აი იმ რა ხეს მთის
წვერზე ხედავთ? იქ ედგათ რამაღებს ბატაკების ერთი
ნაწილი..... ჰმ.... წყე... რამდენი დედა იმის წყა-
ლობით ავიტოვეს იმ დედაბრებმა, იმ ბაში-ბუზუებ-
მა! ჰმ!

შევედი... მწვანით მოსილი, კოსტა და მოხდილი მთა
დიდებულად წამოწოვილი იყო კლდოვანი გვერდით ზღვის
ზვირთებზე... ეს იგი ქაჯთა-ქაჯანია, რომელიც XII
საუკ. უგედავმა შოთთამ თავისებურად, დიდებულად შეამ-
გო უგეუბნის-ტყარსანი“; ეს იგი ალავია, სდაც 1829,
1877—1878 წწ. რუსებმა და რამაღებმა, ქართველებმა
და ქართველებმა (ჰოი დრონო!) სისხლი ჰღვარეს; მთი
მიწა მოწოვეს და თავიან ლეშებით ტურს და მგელი გა-
მოაძღეს... ამ მთას ახლა ჰქვია ცინის-ძირი.... ცინის-
ძირი!! მე მიყვარს ცინის-ძირი, მიყვარს და თან მეტო-
შება მისი ნახვა, თუმც მსურს მასთან ყოფნა! მიყვარს
იგი, მინახის მის ნახვა, თუმც რადესაც ვნახავ სინარე-
ლით აღტაცება და ბრახით თრთოლა, ცენტლად გვეულთ
თვალთა ბრახლი და სინარელის კვიანს და წარუების შეტ-
მუნსკა ერთი მეორეს მოსდევან, ერთმანეთს ებრძვიან...
მიყვარს იმიტომ, რომ აქ უწინ

...მთა მთასა და მთა შვილსა
მამულის ხოლმე შესწირვიდნენ...

და მეტოშება, იმიტომ რომ გუშინ აქვე

...მამ მამს საფრე გუთხარა

შვილმა მამა ჯვარზედ აცვა...

კიდეკ მიუყარს მისთვის, რომ აქ ხეენ მწკალებლებსა და მხაგვრელებსა *), რომელნიც თურმე ჭეიქრობდნენ, რომ ქართულ ხალხის ჩაგვრად საუკუნოდ შეიძლება, შეიძლება მათ საზოლიტიკო ცხოვრება გამოსთხლიშოთ და უმისოდ ვაცხოვროთ, შეიძლება სასწავლებლებში ენის ხმატებას აუკრძალოთ და მასთანვე მათივე შემწეობით მტრები მოვიკროთ და სხვ. — ამ მწკალებლებმა მეთქა აქ კბილები ჩაიმტკრიეს და ფეხები მოიტყეს, ძაღა და დიდება დაჭკატეს და ახლამ ეს დრო, როდესაც მისი უსარგებლო ლეში ნაგუწ ნაგუწად დაიშლება! და მამის მის ბატონებს დაუდგებათ „უტეს ტეეში გლიჯინის“ დრო.

დაიდ ახლამ, დაიდ ახმალ-ებო! თქვენ შესდით, ვითარცა კაცი, ჩვენს ამოთხრათ და ახლამ კაი თქვენ — ამ შეცდომის უბედურმა შედეგმა გიწათ, ჩვენ წავგანდინეთ, მაგრამ, თქვენც წახდით! ჩვენ ამოგვითხრეთ და ამ ამოთხრაში თქვენვე დასავლავი დასა გამოთხარეთ!... დროა დაწმუნდეთ და ჭეშმარიტებად მიიღოთ რომ „არ შეიძლება ამოიუხერას იგი ისტორიული ხალხი, რომელსაც დღემდის შეურყეველად დაუტყავს თავის ხალხობრობა, მამულით, ენით და ჩვეულებებით...“ თქვენ შევიძლიათ იგი დროებით დაიმხანავთ, მოკაგვით, მაგრამ საბოლოოდ, რაც უნდა მაგრად მოუჭიროდ ხელი მაინც გავიხლტებოდ. ეს გახდავთ განონი ბუნების ისტორიული ფაქტებით დამტკიცებულნი... დაიდ ახმალ-ებო! თვალ-წინ გაქვთ გუშინდელი მაგალითები: ჩერნოგორია, სერბია, რუმინია და ბოლგარია....

ცინის-ძირიდან დაწეული სლვის პირად გაწოლილი დასავლეთით რომადენი მე ტოტები ჰერანგან ქედისა. მე სულ-წასვლით ვაცქირობადი სამხრეთ დასავლეთით, საითკენაც უნდა დამენახ ჩემი სამშობლოს უკეთესი ნაკ-სადგური ქალაქი ბათომი... ერთიოდე საათის შემდეგ, რომელიც მე საუკუნედ მომეჩვენა, დაგინახე ის ადგილი, სადაც იგი უნდა არსებულებო. ეს ის ადგილია, სადაც ჰერანგის ქედი თავდება და მის მაგიერ ცოტა მოშორებით სამხრეთით იხედება ლახისტანის ანუ პონთის ქედი, პირველზე უმაღლესი და უგრესი...

*) ვამზობ ოსმალურზე.

ნახევარიოდე საათის შემდეგ ბათომის ჯამების (მინარეები) კენწეროები გამოხდნენ, კიდეც ცოტა ხანის შემდეგ დაგინახეთ მთელი ქალაქი სახლებით და ქუჩებით, და მშვენიერის ბუნებითი, სლვის უბე...

მოგესალმები მამა-პაპის მაგარ საღგურნო. დიდხანს ვერ გნახე და აწ მინდა დიდხანს გიუერო, ვღგევარ თქვენს წინა თავ-მოხრილი ფიქრით მოცმული, ვღგევარ და ფიქრში მიხლდება რაც არს წარსული!...

III

ქ. ბ ა თ ო მ ი.

საღამოს 6 საათი იყო ბათომის სლვის-უბეში რომი შეესტურეთ. ეს მშვენიერი უბე, რომლის სიგრძე 5 კერსი იქნება და სიგანე 2 და ზოგს ადგილას 3 1/2 კერსი, ისახლვრება: აღმოსავლეთით — სლვაში შორს შემწერილი გორცხით და სხვა მხარეებისკენ ვაკეთი, გარდა ჩრდილოეთისა რომელ მხარითაც იგი სლვას უკავშირდება. მისს შესავალში აქეთ-იქით ნაპირებსე დასავლეთით და აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, ე. ი. საჩს ადგილას, აყვანილია გასაოცარი ხერხით ხელაგებობი მატარა გორები (ივლივ 1/2 კერსი იქნება), რომლებსე ოსმალებს ეწვეუნენ სათანადო რიცხვი უზარ-მასარ წარბასუნებისა და მათ ფერდალებში (თითო გორაშია თითო) შემენებულა კაი მოზდილი ყასარმები. მთლად დასრულებულია ყასარმა მსოლოდ დასავლეთისკენ გორაში, რომლის აყვანა და შენობა 1871 წ. დაიწყო. საძივე გორებსთ აქეთ სხე ქართული ასოხი — ვ-სა და ცარიელი მხარე მიტეულები აქეთ ქალაქისკენ ან და ჰერანგის ქედისკენ

ბათომი, რომელიც ახლამ თავისივე სახელწოდების ოქლის ქალაქადაა, არის ჩვეულებრივი სამასრო ქალაქის ოდენა, ქუჩები აქვს ვიწრო, ქვიშით მოფენილი; რივის ქვით მოფენილი ქუჩები მხოლოდ საზარშია, სადაც იგინი ერთობ ვიწროებია, ასე რომ სამი კაცის მეტა ერთად ვერ გაივლას. აქ უკეთესი შენობებია: სამი ჯამი (მეხითი), ნამეტურ გარჯია ერთი მათგანი დასავლეთის მხარეს ხონთქარის დედისგან აშენებული, — ერთი მიკუნჭულ ადგილას ბეძმის ეკლესია წმ. ნიკოლოზისა, ორ-სართულიანი ქვით-გირის სახლი უუ. გურტი-ოღლისა სლვის-უის პირად აშენებული სასტუმროდ, უფ. იანკოს ორ-სართულიანი სახლი ქვით-გირის, რომელშიც ოქლის დროებითი მმართველი დვას და ორ-სართულიანი ქვით-გირის სახ-

ლი ძმთა მჭედლიშკალებისა და დიდი, ჯერ დაუსრულებული ორ-სართულიანი ქვით-კირის სასლი ალი-ფაშის თავდგირიძისი. შენობების უმეტესი ნაწილი ავუროსაა და დასაწყისი ხისა. თითქმის ნახევარზე მეტი მათგანი ორ-ორ სართულიანებია... ქალაქი ხარკავს წყალს ტყვიად, რომლებიც შიგ ქალაქში მცხოვრებლებს აქვთ ამოყვანილი და აღმოსავლეთიდან მილით გამოყვანილ წყლიდამ.

იმ ვაჟ-ბატონების სიმრავლისა გამო, რომელთაც ბათამი ელდორადოდ მიიხსნათ და აქაურები კი ინდიელსად და ამიტომაც ჩამობძნებულან აქ, თავიანთ ტყუთ, გასამდიდრებლად, - ბათამში აჩსებოხს სუთი სასტუმრო და „ტრანსტირები“ კი ათობით... უნდა მოგახსენოთ, რომ ის ვაჟ-ბატონები თავიანთ მოლოდინსა მოატყუეს: ბათამი მისს მიდამოებით თუმც მართლადაც ელდორადოა, მაგრამ მცხოვრებლები კი არ გასლავთ ინდიელები, იკინი უკვე და დიდი ხნიდამ ასე მჭიდროდ დაპატრონებისან ყოველისთვის, რომ აქ ერთ ფურსსაც კერისარებლებს უცხო ქვეყნელი...

ვაჭრობა აქ ადგილობრივ მცხოვრებელთ, ლახების და გურულებ-ამერლების და მეგრელების ხელშია, ორი-დე ბუქმენიც ურეკია, ერთიც რუსი და არც ერთი სოქსი.

ბათამის ოლქი იყოფა სამს მასწად: ბათამის, აჭარის და ართვინის. ოლქის მმართველი ღენ.-ლეიტენ. კომანდოვია, ბათამის მასწის უფროსადანა თ. პოლკ. გ. დ. გურიელი, აჭარის მ. შეფისოვი და ართვინის თ. კ. ერესთავი (კგონებ). თითო მასწა სამ-სამ განყოფილებადაა დაყოფილი...

ერთობ მოხარული ვარ, რომ შეიძლია სრულის საფუძვლით დაკარწიონთ, რომ ბათამის მასწიდანა თ. გ. დ. გურიელის განიერულის გამკობის წყალობით არც ერთი ქობულეთელი და მასხხელელი არ გადასხლეს უკარდა იმ 200 მოსახლისა, რომელნიც ჰირველ თავითვე კარდაესხლნენ. მაგრამ როგორც ნამდვილად შევიტყუი ივინიც აპირებენ უკან დაბრუნებას, რადგან მასტუეუდენს მოლოდინში და ნებით რომ არ უშვებენ, ჩივილს აპირებენ. სუთი კაცი იდუმალ გამოპარულა და უკვე დაჭ-პატრონდენს თავიანთ სახლ-კარს. ერთი მათგანი მე თვითონ ვნახე და მარწმუნებდა სხვებიც მალე დაბრუნდებიანო სულ რომ ძალა იხმარონ „რა ვიცითო, ძაჲ, თუ გირიგოლ ბატონი იქნებოდა მუტისსარიფად, თვარა რავა კარდაესხლდებოდიო...“

14 ღვინობისთვის ოსმალეთიდან აქ ჩამოვიდნენ თხუთმეტი კაცი აჭარლები და მასხხელენი, რომელთაც ოსმალთს ნიხმის ჯარში გაეთავებინათ სამსახურის ვადა. მათეს სიტყვით, კიდე უნდა მოვიდნენ ასი კაცი... უბე-რძი ჯაფა და სასჯელი გადაგვდა თავს ძაჲ, მარა, ახლაც ალდაჭია მოწყალე, ჩვენს ქვეყანაში ისევე სულს მოკითქვამოა,“ მითხრეს მათ. აი

ერი გულადი, პურადი, მებრძოლე შავის ბელისა იგივე მხნე, იგივე მღერალი, მოყვარე სამშობლოსა...

PS. „ივერ.“ № 41 ივ აბ - მე თავს იმართლებს. მე კი ხელს ვაწერ და ვამტვიტებ. ჩემგან ვე. ა. ში თქმულს და მისს ვითარებასაც შეურყეველ ფაქტებით დავამტვიტებ...

ბათამი, 12 ივტ.

საზოლიტიკო მიმოხილვა

